

შპს სიო



საექთნო საქმის პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი

უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები

პროფესიული განათლების მასწავლებელი მოვალეა:

1. დარწმუნდეს, რომ სამუშაო გარემო უსაფრთხოა: სამუშაოს დაწყების წინ შეამოწმოს სამუშაო მაგიდისა და სკამის სიმყარე, მხოლოდ მას შემდეგ დაიწყოს მუშაობა;
2. დარწმუნდეს, რომ სამუშაო გარემო არის სუფთა მდგომარეობაში, არის საკმარისად განათებული და განიავებული;
3. დარწმუნდეს, რომ პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემო, სამუშაო მაგიდა და სკამები მყარია;
4. დარწმუნდეს, რომ ნებისმიერი ბასრი, მჩხვლეტავი და მჭრელი სამედიცინო საშუალება ინახება დახურულ კარადაში და მასზე ხელმისაწვდომობა არ ექნება სტუდენტს პრაქტიკული დავალებების შესრულებამდე;
5. წამლები, გამხსნელები, ფიზიოლოგიური ხსნარები, ჭრილობის დასამუშავებელი საშუალებები და სხვ. უნდა ინახებოდეს მისთვის გამოყოფილ თაროზე დახურულ კარადაში. მასზე ხელმისაწვდომობა უნდა ჰქონდეს პროფესიული სწავლების პედაგოგსა და ადმინისტრაციას;
6. წამლებზე და პრეპარატებზე უნდა იკითხებოდეს დასახელება და გამოშვების თარიღი;
7. წამლებსა და პრეპარატებზე ხელმისაწვდომობა არ უნდა ჰქონდეს პროფესიულ სტუდენტს პრაქტიკული დავალების შესრულებამდე;
8. დარწმუნდეს, რომ სამედიცინო აღჭურვილობა თუ სამედიცინო დანადგარი, რომლის გამოყენებასაც აპირებს პრაქტიკული მეცადინეობის განხორციელებისას არის მუშა მდგომარეობაში;
9. ნებისმიერი საფრთხისშემცველი ფაქტორის შესახებ, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მასწავლებლისა და სტუდენტის ჯამრთელობასა და სიცოცხლეს დაუყონებლივ აცნობოს ადმინისტრაციას;
10. მოაწესრიგოს სამუშაო გარემო: ჩართოს კომპიუტერი, პრინტერი და მონიტორი და დარწმუნდეს მათ გამართულ მუშაობაში;
11. გამოიყენოს კომპიუტერის, პრინტერისა და მონიტორის მხოლოდ ის ფუნქციები რისი კომპეტენციაც აქვს;
12. დახმარებისთვის, საჭიროებისამებრ, მიმართოს კოლეჯის ტექნიკური უზრუნველყოფისა და შრომის უსაფრთხოების ან აიტი სპეციალისტს;

13. დარწმუნდეს, რომ კომპიუტერის, პრინტერისა და მონიტორის კაბელები დაორგანიზებულია ისე, რომ არ ქმნის ელექტროშოკისა ან ტრავმის საფრთხეს;
14. გამოცვალოს კარტრიჯი პრინტერზე ელ. ქსელიდან გათიშვის შემდეგ;
15. ელექტროუსაფრთხოების ნორმების დარღვევის (დაზიანებული დენისა და ინტერნეტის კაბელები, არაორგანიზებული ელექტრო და ინტერნეტის კაბელები, დაზიანებული როზეტების და დენცქვიტები, გადამწვარი ნათურები) შემთხვევაში აცნობოს შესაბამის ტექნიკური უზრუნველყოფისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯერს;
16. გამოიყენოს აუდიტორიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები დანიშნულებისამებრ;
17. უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული ყველა იმ პროცედურის დაცვა რასაც უდგენს კოლეჯი პრაქტიკული დავალებების განხორციელებისას (მათ შორის: ავადმყოფის მოვლა, ნემსებისა და სხვა მჩხლეტავი საგნების გამოყენების უსაფრთხოების წესები და სხვ.);
18. გააკონტროლოს ბასრი საგნებისა და სამედიცინო ნარჩენების სეპარაცია, სამედიცინო ნარჩენებისთვის განკუთვნილი ყუთებში განთავსება და შესაბამისი წესით მისი გატანა;
19. პრაქტიკული მეცადინეობის განხორციელებისას გამოიყენოს ყველა ის ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რაც სპეციფიკითაა გათვალისწინებული და პროცედურებითაა დადგენილი;
20. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების შემდეგ მრავალჯერადი დანიშნულების იდს-ები შეინახოს სუფთა მდგომარეობაში, ხოლო ერთჯერადი დანიშნულების იდს-ების გადაყრა მოხდეს ნორმების დაცვით მისთვის გამოყოფილ კონტეინერებში;
21. პასუხიმგებლობა აიღოს პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე პრაქტიკული დავალებების განხორციელების დროს;
22. შეინარჩუნოს სამუშაო გარემო სუფთა მდგომარეობაში;
23. შესაბამისი წესების დაცვით შეინახოს გამოყენებული სამედიცინო ინვენტარი კარადაში;
24. სამუშაო დღის დასრულების შემდეგ გამორთოს კომპიუტერი, პრინტერი და მონიტორი, ჩააქროს განათება და მოწესრიგებული დატოვოს აუდიტორია.

პროფესიული განათლების მასწავლებელს ეკრძალება:

1. გამოცხადდეს მასწავლებლისთვის შეუფერებელ მდგომარეობაში;
2. გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე არაადაპტაციული მდგომარეობის მდგომარეობაში: განსაკუთრებით სიცხის და რესპირაციული დაავადებების შემთხვევაში, ან სხვა ინფექციური დაავადებების დროს;
3. ისეთ კომპიუტერთან და პერიფერიულ მოწყობილობებთან მუშაობა რომლებსაც დარღვეული აქვს კორპუსის მთლიანობა და სადენები არ აქვს იზოლირებული;
4. დაზიანების შემთხვევაში თვითნებურად გაარემონტოს აუდიტორიაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობა: კომპიუტერი, პროექტორი და სხვ;
5. კომპიუტერისა და მონიტორის ხშირი ჩართვა-გამორთვა;

6. გამოიყენოს ის მოწყობილობები რომლის ექსლოატაციის წესები მისთვის ცნობილი არ არის;
7. შეეხოს აუდიტორიაში არსებულ დაზიანებულ და არაორგანიზებულ ელ.მოწყობილობებს, დენისა და ინტერნეტის კაბელებს, ჩამრთველ- ამომრთველებს;
8. თვითნებურად გაარემოტოს ან შეაკეთოს აუდიტორიაში არსებული ნებისმიერი მოწყობილობა;
9. დააზიანოს და არ მოუფრთხილდეს აუდიტორიაში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას;
10. დაარღვიოს ბიზნესისა და ტექნოლოგიების კოლეჯის მიერ შემუშავებული შრომის უსაფრთხოების პროცედურები პრაქტიკული დავალებების განხორციელებისას;
11. ყველაფერი ის რაც ბიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯის შრომის შინაგანაწესითა და სხვა წესებითაა აკრძალული.

პროფესიული სტუდენტი მოვალეა:

1. დარწმუნდეს, რომ სასწავლო გარემო უსაფრთხოა და ყველა პირობაა შექმნილი სასწავლო პროცესისთვის;
2. ნებისმიერი საფრთხისშემცველი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას მიაყენოს ზიანი, აცნობოს პროფესიული განათლების მასწავლებელს ან/და ადმინისტრაციის წარმომადგენელს;
3. დაზიანებული სამედიცინო დანადგარების, აღჭურვილობისა და ელ.კაბელების არსებობის შემთხვევაში შეატყობინოს პროფესიული სწავლების პედაგოგს ან/და ადმინისტრაციის წარმომადგენელს;
4. მხოლოდ პედაგოგის მეთვალყურეობის დროს, სწავლების პროცესში გამოიყენოს ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რითიცაა აღჭურვილი აუდიტორია;
5. მასწავლებლის მითითებითა და მეთვალყურეობით ჩართოს-გამორთოს, ქარხანა-დამამზადებლის ინსტრუქციის შესაბამისად გამოიყენოს და მოუფრთხილდეს სამედიცინო დანადგარებს;
6. დაემორჩილოს პროფესიული განათლების მასწავლებლის მითითებებს პრაქტიკული მეცადინეობის განხორციელების დროს;
7. დაიცვას ყველა პროცედურა ზედმიწევნით და თავი შეიკავოს თვითნებური გადაწყვეტილებებისგან;
8. გამოიყენოს ყველა ის ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რაც სჭირდება პრაქტიკული მეცადინეობის განხორციელებისას;
9. იზრუნოს აუდიტორიის სუფთა მდომარეობის შესანარჩუნებლად;
10. დაემორჩილოს ბიზნესისა და ტექნოლოგიების კოლეჯის მიერ დადგენილ ყველა წესს, რომელიც მიმართულია მათი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვისკენ.

პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

1. გამოცხადდეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეუფერებელ მდგომარეობაში;
2. გამოცხადდეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში: განსაკუთრებით სიცხის და რესპირაციული დაავადებების შემთხვევაში, ან სხვა ინფექციური დაავადებების დროს;
3. შეეხოს ელ. ენერჯის ჩამრთველ-ამომრთველებს და ნებისმიერ ელ. მოწყობილობას;
4. შეეხოს პედაგოგის კომპიუტერს, თვითნებურად ჩართოს ან გამორთოს;

5. დაუკითხავად აიღოს და არადანიშნულებისამებრს გამოიყენოს აუდიტორიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
6. დაუკითხავად აიღოს ნებისმიერი სამედიცინო საშუალება, სამედიცინო მოწყობილობა, წამლები, პრეპარატები პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე;
7. მიიღოს თვითნებური გადაწყვეტილებები ელექტრობის, კომპიუტერისა და სხვა პერიფერიული მოწყობილობების შეკეთებასთან დაკავშირებით;
8. მიიღოს თვითნებური გადაწყვეტილებები და არ დაემორჩილოს პროფესიული განათლების მასწავლებლის მითითებებს სასწალო პრაქტიკული დავალებების შესრულების დროს;
9. ყველაფერი ის, რაც პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება ბიზნესისა და ტექნოლოგიების კოლეჯის დადგენილი წესების მიხედვით.

ავადმყოფის მოვლა: სიმძიმის აწევა

სამედიცინო სექტორში, უმეტესწილად ექთნებში და სანიტრებში გავრცელებულია ძვალ-კუნთოვანი და ძვალ-სახსროვანი სისტემების, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებები, რაც განპირობებულია სიმძიმეების აწევასთან. უფრო ზუსტად, ექთნებს უწევთ პაციენტების აწევა, დაწევა, დაწვენა, აყენება, საკაციდან ლოგინზე გადაყვანა, ლოგინიდან შშმ პირის სავარძელში გადაყვანა, სავარძელის გადაადგილება, გაგორება და ა.შ.

პაციენტის უსაფრთხოდ მოვლის წესებს ეუფლებიან მომავალი ექიმები, რომლებიც პრაქტიკულ დავალებებს ასრულებენ მულაჟების დახმარებით. მიუხედავად იმისა, რომ მულაჟის წონა განსხვავდება პაციენტის წონისგან საექთნო საქმიანობაში ამგვარი მანიპულაციების სწორი შესრულება მნიშვნელოვანია პაციენტის უსაფრთხო მოვლისთვის და ექთნის ჯამრთელობისთვის.

საექთნო საქმის აუდიტორია აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობით: ელექტრო საწოლით, შშმპ-ის ეტლით, რომელიც იძლევა საშუალებას ავადმყოფის მოვლა მარტივი და უსაფრთხო გახადოს. თუმცა, პრაქტიკული მეცადინეობის შესრულების დროს პროფესიული განათლების მასწავლებელს და პროფესულ სტუდენტებს უწევთ პაციენტის/მულაჟის

- აწევა;
- დაწევა;
- დასმა
- გადაყვანა;
- მიწოლა/გაგორება, რაც თავისთავად მოითხოვს უსაფრთხო მანიპულაციების შესრულებას.

იმისთვის, რომ თავიდან ავირიდოთ საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის გადაძაბვა-დაზიანება და ტრავმატიზმი ამისთვის მნიშვნელოვანია:

1. საკაცით პაციენტის აწევისას:
 - საკაცით პაციენტი უნდა აწიოს მინიმუმ ორმა ადამიანმა, ხოლო საკაციდან ლოგინზე გადმოსაყვანად უნდა დაეხმაროს მესამე;

- დარწმუნდნენ, რომ პაციენტი/მულაჟი ისეა დამაგრებული, რომ ვერ მოხდება მისი გადმოვარდნა;
- დახრისას მოხარონ მუხლები, არ მოხარონ ხერხემალი, დაიჭირონ თავი აწეული და კარგად ჩაჭიდონ ხელი საკაცს;
- საკაცის აწევისას გამოიყენონ ფეხის კუნთები, არ დაატანონ ძალა ხერხემალს და ზურგის კუნთებს;
- მოძრაობის დაწყებამდე დარწმუნდნენ, რომ სტაბილურად დგანან ფეხზე, ხოლო საკაცი სტაბილურად უჭირავთ ხელში.

2. ვიცოდეთ, რამდენი კილოა პაციენტი. თუ პაციენტი 20 კილოზე მეტისაა, დაუშვებელია ერთი ადამიანის მიერ აწევა, აყენება, დასმა;
3. დაუშვებელია პაციენტის საწოლიდან ეტლში გადაყვანა მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ;
4. პაციენტის ეტლის გაგორება/მიწოლა, ასევე დაკავშირებულია მძიმე შრომასთან;
5. პაციენტის მოვლასთან დაკავშირებული პროცედურები: თეთრეულის გამოცვლა, დაბანა, მოვლა, გასუფთავება, გამოცვლა ხელით მძიმე შრომასთანაა დაკავშირებული.

პრაქტიკული დავალებების შესრულების დროს მნიშვნელოვანია პროფესიული სწავლების პედაგოგის მიერ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ საკითხს, რათა შემდგომში ავიცილოთ თავიდან საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებები და ტრავმატიზმის შემთხვევები.

პრაქტიკული დავალებების დროს

ნემსებისა და სხვა მჩხვლეტავი საგნების გამოყენებისას

მისაღები უსაფრთხოების ზომები

საექთნო საქმის აუდიტორია აღჭურვილია სხვადასხვა სახეობის მჩხვლეტავი და მჭრელი სამედიცინო ინვენტარით. პრაქტიკული დავალებების შესრულებისას პროფესიული სტუდენტი მანეკენებზე და ზედა კიდურის მულაჟზე სწავლობს ნემსის გაკეთებას ვენაში და კუნთში, კათეტერის ჩადგმას, ინფუზიური და ტრანსფუზიური სისტემის ჩადგმას და ა.შ. რა დროსაც მას უწევს მჩხვლეტავ და ბასრ საგნებთან შეხება. პრაქტიკული მეცადინეობა ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ.

ნემსისა და სხვა მჩხვლეტავი საგნების გამოყენებისას

მისაღები უსაფრთხოების ზომები

- პრაქტიკული დავალების განხორციელებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტებს გააცნოს მათი გამოყენების წესები და უსაფრთხოების ნორმები;
- ნემსები, შპრიცები, სისტემები და სხვა მჩხვლეტავი საგნები უნდა ინახებოდეს დახურულ კარადაში და მასზე ხელმისაწვდომობა ჰქონდეს მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებელს და ადმინისტრაციას;

- მხვლეტავი სამედიცინო საშუალებების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ დანიშნულებისამებრ, პროფესიული განათლების მასწავლებლის მეთვალყურების ქვეშ;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია ჩაატაროს სადემონსტრაციო მეცადინეობა, მხოლოდ ამის შემდეგ დართოს ნება სტუდენტებს განახორციელონ იგივე;
- პრაქტიკული დავალების შესრულების დროს თითო პროფესიულ სტუდენტზე უნდა გამოიყოს თითო შპტიცი, რათა გამოვრიცხოთ ჩხვლეტის შემთხვევაში სისხლით გადამდები დაავადებების გავრცელება;
- ნემსის კუნთში და ვენაში გაკეთების დროს დაცული უნდა იქნეს ის პროტოკოლი, რაც გაწერილია კონკრეტული მანიპულაციების შესასრულებლად: ამპულის გახსნიდან/გატეხვიდან, ნემსისა და სხვა სამედიცინო ნარჩენების გადაგდების ჩათვლით;
- პრაქტიკული დავალებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ მულაჟებზე;
- დაუშვებელია საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკული დავალებების ჩატარება სტუდენტზე ან მასწავლებელზე;
- პრაქტიკული დავალებების შესრულებისას პროფესიული სწავლების პედაგოგი ვალდებულია თვალყური ადევნოს მათი გამოყენების წესებს და უსაფრთხოების ნორმებს;
- მხვლეტავი და წვეტიანი იარაღების გამოყენებისას მასზე მომუშავე პირი ვალდებულია არ დაკავდეს სხვა საქმიანობით, არ გაერთოს და არ გაართოს სხვები, არ ილაპარაკოს მობილურზე და არ შეასრულოს ისეთი ქმედება რომელიც ხელს შეუშლის კონცენტრირებაში;
- მხვლეტავი და წვეტიანი იარაღების გამოყენებისას მასზე მომუშავე პირი ვალდებულია იყოს ყურადღებით, კონცენტრირდეს საქმეზე, არ შეასრულოს ისეთი მოქმედებები რამაც შეიძლება მას და მის გვერდზე მყოფებს მოუტანოს ზიანი;
- პრაქტიკული მეცადინეობის დასრულების შემდეგ მოხდეს ნემსების სპეციალურ კონტეინერში განთავსება და გადაყრა;
- ხელის ან თითის ჩხვლეტით დაზიანების შემთხვევაში მასწავლებელს, სტუდენტს სასწრაფოდ უნდა გაეწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება.